შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.841)

25 აგვისტო-1 სექტემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ანგელა მერკელის ვიზიტი რუსეთის აჩრდილის ფონზე

გვ.6

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა გრძელდება

გვ.3

რა სურთ ახალგაზრდებს?

გვ.5

„ჩემი სამშობლო, ეგრე ლამაზი“...

გვ.6

სეტყვის შედეგად დაზარალებულებს დაზღვევა ზარალს სრულად აუნაზღაურებს

გვ - 2

უნუგეშოდ დარჩენილი პედაგოგი...

გვ.3

ანგელა მერკელი – საქართველოს მოქალაქეებისთვის გერმანიაში სამუშაო კვოტებს შევქმნით

გვ.2

მამუკა ბახტაძე - დადგება ის დღე, როდესაც ქართველი და უკრაინელი ერი იზეიმებს დამოუკიდებლობას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სუვერენიტეტის დაცვის ფარგლებში

დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც, როგორც ქართველი ერი, ასევე უკრაინელი ერი აუცილებლად იზეიმებს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სუვერენიტეტის დაცვის ფარგლებში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მამუკა ბახტაძემ უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

„მინდა უკრაინას და უკრაინელებს, ჩვენს მეგობრებს მივულოცო დამოუკიდებლობის დღე. ქართველებს ყველაზე კარგად გვესმის ეს ტკივილიც და ამავე დროს დამოუკიდებლობის და თავისუფლების ფასი. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც, როგორც ქართველი ერი, ასევე უკრაინელი ერი აუცილებლად იზეიმებს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სუვერენიტეტის დაცვის ფარგლებში. ჩვენი არჩევანია მშვიდობა, ჩვენი არჩევანი გახლავთ ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა, ეს არის ისტორიული არჩევანი, ეს არის ჩვენი ცივილიზაციული არჩევანი. იგივე შემიძლია ვთქვა უკრაინის შემთხვევაში. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ქალბატონ კანცლერს, გერმანიას და გერმანელ ხალხს, იმ მხარდაჭერისთვის რასაც ისინი ახორციელებენ დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობისა. ჩვენი მეგობრების დახმარებით ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ საწადელს“, - განაცხადა ბახტაძემ.

ირაკლი კობახიძე — დიდი საქმე დიდი წინააღმდეგობის გარეშე არ კეთდება

დიდი საქმე დიდი წინააღმდეგობის გარეშე არ კეთდება, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ კონსტიტუციის დღეს, კონსტიტუციის ახალი რედაქციის პირველი გამოცემის პრეზენტაციისას განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესს თან ახლდა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები, თუმცა შრომის შედეგად არის ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი კონსტიტუცია მიღებული.

„კონსტიტუციის ახალი რედაქცია ეფუძნება ადამიანის ღირსების, როგორც უზენაესი ღირებულების იდეას. კონსტიტუციის ახალი რედაქცია აყალიბებს დახვეწილ, ევროპული ტიპის საპარლამენტო მმართველობის სისტერმას : ძლიერი პარლამენტი, ქმედითი მთავრობით, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლებით და ზეპარტიული პრეზიდენტით. ეს არის ახალი კონსტიტუციის ძირითადი ნიშანთვისებები.

დიდი საქმე დიდი წინააღმდეგობის გარეშე არ კეთდება. კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესსაც, როგორც მოგეხსენებათ, თან ახლდა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები, თუმცა შრომის შედეგი არის ნამდვილად თვალნათელი. ამიერიდან საქართველოს აქვს სრულყოფილი, ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი კონსტიტუცია, რომელიც არის გარანტი იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესი შეუქცევადი გახდება.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტმა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა,“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, დღევანდელი დღისათვის დაიბეჭდა პირველი გამოცემის რამდენიმე ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მომზადდა კონსტიტუციის ახალი რედაქციის პირველი გამოცემის სპეციალური ვერსიები.

ირაკლი კობახიძემ გაწეული შრომისთვის პროცესში ჩართულ პირებს მადლობა გადაუხადა.

„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას თანადგომისთვის მადლობა მინდა გადავუხადო.

კონსტიტუციის ახალი რედაქცია რომელიც პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება, უნდა გახდეს და გახდება სამაგიდო წიგნი ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, იურისტებისთვის, ჟურნალისტებისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვინც საქართველოში დემოკრატიის განვითარებით არის დაკავებული. ასევე მადლობას გადავუხდი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებს, პარლამენტის წევრებს და ვენეციის კომისიას,“ -განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სეტყვის შედეგად დაზარალებულებს დაზღვევა ზარალს სრულად აუნაზღაურებს



ახმეტის და თელავის რაიონებში სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს სრულად აუნაზღაურდებათ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ბენეფიციარების მიწის ნაკვეთებზე ზარალის დათვლა აქტიურად მიმდინარეობს, რის შემდგომაც, ზიანის ანაზღაურება დადგენილი წესით მოხდება.

თელავისა და ახმეტის რაიონებში მომხდარი სტიქიის შემდეგ, სადაზღვევო კომპანიებში, ორი დღის განმავლობაში, 780-ზე მეტი შეტყობინება დაფიქსირდა.

სამინისტროს ცნობით, ზარალის შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართული სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები და აგროდაზღვევის პროგრამის მონაწილე ყველა სადაზღვევო კომპანია.

მიმდინარე წელს, აგროდაზღვევის პროექტში სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პოლისის შესყიდვაზე თანამონაწილეობა ყველა კულტურაზე 70%, ხოლო ვაზზე 50%-ია.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე ნებისმიერ ბენეფიციარს, რომელიც ფლობს მაგალითად 30 ჰექტარს, ან 100 ჰექტარს, შეუძლია 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება.

„ახმეტაში, სადაც სტიქიის ძირითადი ეპიცენტრია, იმუშავებენ ადგილობრივი საწარმოები იმისთვის, რომ ფერმერებმა, ხვალიდან, ყველაზე მინიმალური დანახარჯებით, თავისივე რაიონში უპრობლემოდ შეძლონ დაზიანებული ყურძნის ჩაბარება“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა თელავში შტაბში გამართული თათბირის შემდეგ.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გლეხებმა ოპერატიულად შეძლონ ნაწილობრივ გადარჩენილი ყურძნის დაბინავება ისე, რომ ზარალი არ იყოს უფრო მეტი. სწორედ ამიტომ არის დღეს შტაბში საგანგებო შეკრება. შტაბს აქვს მუდმივი კონტაქტი კომპანიებთან, რომლებიც დაზიანებული ყურძნისგან სპირტის დამზადებას შეძლებენ და ამ მხრივ მოსახლეობას ჩაბარების პრობლემა არ ექნება“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრმა აგროდაზღვევის მექანიზმის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და მოსახლეობას მოუწოდა, აგროდაზღვევით აქტიურად ისარგებლონ:

„სამწუხაროდ, ბუნებრივი მოვლენებისა და კატაკლიზმების წინასწარ განჭვრეტა ძალიან რთულია, მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში არსებობს აგროდაზღვევის მექანიზმი, რომლის პოპულარიზაციასაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო წლებია ცდილობს. როდესაც ვსაუბრობთ დარგის განვითარებაზე, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული აგროდაზღვევის ინსტრუმენტის გამოყენებასთან.

რაც უფრო მეტი იქნება აგროდაზღვევის დაფარვის მასშტაბი, მით უფრო ხელმისაწვდომი იქნება ტარიფები ფერმერებისთვის, თუმცა დღესაც სახელმწიფო ახდენს 50 %-იან თანადაფინანსებას.

ამიტომ, მოვუწოდებ ყველა ფერმერს, განსაკუთრებით ისეთ მაღალრისკიან და მაღალი ღირებულების კულტურაში, როგორიც არის ყურძენი და მევენახეობა, რომ აგროდაზღვევის ინსტრუმენტი გამოიყენონ“.

მინისტრის განცხადებით, დაზარალებულ მევენახეებზე, ვისაც მოსავალი დაზღვეული არ აქვს, კომპენსაცია არ გაიცემა: „წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ საუბარი გვაქვს არა მხოლოდ მევენახეობაზე, არამედ, საქართველოში არის ბევრი სხვა რეგიონი და სხვა დარგი, ყველგან გვაქვს გამოწვევა და პრობლემა. ჩვენი პასუხი უნდა იყოს თანაბარი ყველას მიმართ. სახელმწიფო, თანადაფინანსების სახით, ხელს უწყობს აგროდაზღვევას“.

18 აგვისტოს, ახმეტის და თელავის მუნიციპალიტეტების სოფლები დაისეტყვა. ყველაზე მეტად სოფელი ქისტაური დაზარალდა. სეტყვამ საკმაოდ დიდ ფართობზე ყურძენი 100%-ით გაანადგურა.

ბუნებრივ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ცენტრის ინფორმაციით, ბოლო 4 წელში კახეთში ყველაზე დიდი მასშტაბის სეტყვის მარცვლები დაფიქსირდა. ცენტრის განმარტებით, სეტყვის შესამსუბუქებლად 200-მდე რაკეტა გაისროლეს, რამაც ღრუბლის მასები მნიშვნელოვნად შეამცირა, თუმცა ახმეტისა და თელავის რაიონებში სარაკეტო დამუშავება სროლისთვის აკრძალული ზონების არსებობის გამო, დასახლებული პუნქტების გარეთ განხორციელდა. საგარეჯოს რაიონში კი აკრძალულ ზონებს ჰაერში საფრენი აპარატების არსებობაც დაემატა.

ანგელა მერკელი - ჰიბრიდული ომის წარმოება არის რუსული გეგმები

ჰიბრიდული ომის წარმოება არის რუსული გეგმები და მიზანმიმართული დეზინფორმაცია, სადაც რუსეთის მოსახლეობის პრაქტიკულად, დაზომბირება, არასწორად წაყვანა ხდება, - ამის შესახებ გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა ანგელა მერკელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა. შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს საქართველო რუსულ „რბილ ძალას“.

ანგელა მერკელის თქმით, ცრუ ინფორმაცია გერმანიაშიც ვრცელდება, თუმცა მისი გაბათილების საშუალება საპირწონედ სრული ინფორმაციის გავრცელებაა. მისი თქმით, პრიორიტეტი სწორედ ამაზე აქცენტის გაკეთებაა.

„ქართული გადმოსახედიდან ცოტა რთულია ამაზე საუბარი. რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება, ჰიბრიდული ომის წარმოება ეს არის რუსული გეგმები და მიზანმიმართული დეზინფორმაცია, სადაც რუსეთის მოსახლეობის პრაქტიკულად, დაზომბირება, არასწორად წაყვანა ხდება. გერმანიაშიც ვრცელდება ცრუ და არასწორი ინფორმაცია. საუკეთესო საშუალება არის ადგილობრივად მიდგომა, რა თქმა უნდა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს, იმიტომ რომ ჩვენ არ გვაქვს საინფორმაციო მონოპოლია, არამედ გერმანიაში არის მედია თავისუფალი და მრავალმხრივი. მე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი არის ფაქტები, ფაქტებზე ყურადღების გამახვილება, გამეორება და ხაზგასმა იმისა, რა არის მცდარი“, - აღნიშნა ანგელა მერკელმა.

ანგელა მერკელი - საქართველოს მოქალაქეებისთვის გერმანიაში სამუშაო კვოტებს შევქმნით

საქართველოსთვის და დასავლეთ ბალკანური ქვეყნებისთვის ჩვენ სამუშაო კვოტებს შევქმნით, რათა დასაქმების ლეგალური, სამართლებრივად გამართლებული გზები არსებობდეს, - ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას, დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მერკელის განცხადებით, კვოტები გარკვეული სპეციალობებისთვის შეიქმნება, რომლის დეფიციტიც გერმანულ ბაზარზეა.

„ჩვენ ვამუშავებთ ახლა დარგის სპეციალისტების კანონპროექტს, არა ზოგადად, მაგრამ ცალკეული პროფესიებისთვის, სადაც არის დიდი დეფიციტი გერმანულ ბაზარზე. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, მათ შორის საქართველოსთვის, მათ შორის, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის ჩვენ ამ კვოტებს შევქმნით, ჩამოვაყალიბებთ, რათა დასაქმების ლეგალური, სამართლებრივად გამართლებული გზები არსებობდეს, მათ შორის გაძლიერდეს პროფესიული სკოლები მრავალი მიმართულებით. ამას გარდა, მნიშვნელოვანია გერმანული ენის ხელშეწყობა უმაღლესი განათლების მიღება, რათა ათვისებული და გაძლიერებული იქნას გერმანიაში აღიარებული პროფესიული ხელობა. ეს არის ძალიან რთული, რასაც ადამიანები ითვისებენ, სწავლობენ და ისევ და ისევ ამ ადამიანებს უნდა შეეძლოთ ამის გამოყენება“, - განაცხადა მერკელმა.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მყოფი ქართველებისთვის ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობის მიცემის საკითხი მერკელთან დღევანდელ შეხვედრაზე “ევროპული საქართველოს” ლიდერებმა დააყენეს. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს დავით ბაქრაძემ განუცხადა, მათ გერმანიის კანცლერისგან მიიღეს დაპირება, რომ გერმანია ამ კუთხით მუშაობას დაიწყებს.

ჩატარდა საკრებულოს სხდომა

დღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

საკრებულოს წევრებმა განიხილეს დღის წერიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი. კერძოდ, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 17 აგვისტოს შესული ცვლილების საფუძველზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს დაემატა 3 პროექტი: 1.ქ.დედოფლისწყაროში არხოტის ქუჩაზე და შირაქის ქუჩის პირველ შესახვევში ასფალტის საფარის მოწყობა, 2. ქ. დედოფლისწყაროში 1 მაისის, ასევე ნინოშვილის ქუჩაზე და გამარჯვების ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა და სოფელ არბოშიკში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა- 711 122 ლარი აისახა დედოფლისწყაროს 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილში.

საბიუჯეტო ცვლილებას საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა გრძელდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტს 2018 წელს ახალი პირობებით განაგრძობს.

2018 წელს, სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიულია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე - მეწარმე სუბიექტს ან მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს ან მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოებაგადაიარაღებას.

განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც – პროგრამის მოსარგებლის ან მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ, როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მეოთხე ეტაპს იწყებს. პროექტის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დღეს ზემო ქედსა და დედოფლისწყაროში გაიმართა, სადაც საზოგადოებას ბიზნეს კონკურსის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლებმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიაწოდეს.

წელს პროექტში სიახლეებია. თითოეული მეწარმე სახელმწიფოსგან გრანტის სახით არაუმეტეს 20 000 ლარს მიიღებს. მეწარმის თანამონაწილეობის ვალდებულება კი მოთხოვნილი თანხის 20 %-ა. წელს კონკურში მონაწილეობა შეუძლიათ გასული წლების გამარჯვებულებსაც. ამ შემთხვევაში მათი თანამონაწილეობა 50 %-ით განისაზღვრა.

მიმდინარე წელს ბიზნესიდეების კონკურსში არ დაფინანსდება სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება და მისთვის განკუთვნილი მომსახურება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აღნიშნულ პროექტში ჩართულობისაკენ მოუწოდა. „როცა ეს პროექტი დაიწყო, ჩვენი მოსახლეობა მის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი. იმ წელს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ ოცდაერთმა მოქალაქემ მიიღო, საიდანაც ცხრამეტმა გაიმარჯვა. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდასაჭერად არაერთი პროექტი ხორციელდება და მათ წარმატებაში უკვე ჩვენი ბევრი თანამოქალაქე დარწმუნდა. ამჯერადაც მოგიწოდებთ, არ გაუშვათ შანსი ხელიდან და აქტიურად მიიღოთ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა“- განაცხადა ზემო ქედის მოსახლეობასთან შეხვედრაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა.

საკონკურსო განაცხადების მიღება ელექტრონული ფორმით, 20 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე იწარმოებს მისამართზე www.qartuli.ge

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ, ან გააფართოვონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით, რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მილიონ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი და მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

უნუგეშოდ დარჩენილი პედაგოგი...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში მცხოვრებ 60 წლის ნატალია მეხრიშვილს, ***რომელიც უნარშეზღუდულის სტატუსს ატარებს, სოციალური მომსახურების სააგენტომ საარსებო შემწეობა შეუწყვიტა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ოზაანის საჯარო სკოლის დატოვებაც მოუხდა, სადაც 30 წლის განმავლობაში მუშაობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნატალია მეხრიშვილი მარტო ცხოვრობს, რის შემდეგაც ეპილეფსიით დაავადდა. ამ ფაქტორმა მისი ყოფა კიდევ უფრო დაამძიმა. ზამთარში, ერთ-ერთი ეპილეფსიური შეტევის დროს, ღუმელზე დაეცა და სხეულის სერიოზული დამწვრობა მიიღო. საშველად მეზობლები იხმო, თუმცა უკვე გვიან იყო.***

ამჟამად მისი ერთადერთი შემოსავალი პენსიაა, რომელიც მედიკამენტების შეძენას ხმარდება, კომუნალური გადასახადების დაფარვას კი ვეღარ ახერხებს. ოზაანის სკოლის ყოფილი პედაგოგი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ მისი მდგომარეობა რთულია და დახმარებას საჭიროებს.

„პენსიას მანამდეც ვიღებდი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჯერ ინვალიდობის სტატუსით, შემდეგ უკვე ასაკი შემისრულდა და მიმდინარე წლის იანვრიდან ისედაც პენსიონერი ვარ. სკოლაში ფიზიკას ვასწავლიდი 1980 წლიდან. შემდეგ მეუღლე გარდამეცვალა და მალე ნერვიულობის ნიადაგზე ეპილექსია დამემართა. სკოლაშიც გავხდი ცუდად და უკვე მრცხვენოდა, უხერხულია, როცა პედაგოგს სკოლაში ბავშვებთან ემართება ასეთი რამ და, ამის გამო, გადავწყვიტე, სკოლა დამეტოვებინა. უმუშევრად ყოფნა ძალიან მიჭირს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში სკოლაში ვეღარ გავჩერდებოდი. 2009 წლის შემდეგ სკოლაში აღარ ვმუშაობ და ასე უმუშევრად ვზივარ. არავითარი შემოსავალი არ გამაჩნია, მხოლოდ პენსიას ვიღებ და, ავადმყოფის მდგომარეობა კარგად მოგეხსენებათ, სულ წამალ-ექიმი მჭირდება. პენსიის დიდი ნაწილიც წამლებში მეხარჯება და აღარაფერი მრჩება, რომ ვიარსებო. მეუღლე რომ მყავდეს, არ გამიჭირდებოდა, მაგრამ მარტოხელა ვარ, ვერსად მუშაობას ვერ ვახერხებ და თვიდან-თვემდე პენსიას შევყურებ. შვილებს თავისი ოჯახები აქვთ, მათაც უჭირთ და ხშირად ვერ მეხმარებიან. დღეს ყველას უჭირს, მათაც თავისი გზა აქვთ. დახმარებაც დიდი ხანი მეძლეოდა, მაგრამ გასულ წელს შემიწყდა და ვერ გავარკვიე, რატომ გაიზარდა ქულები. ერთადერთი ის მითხრეს, რომ გამოჩნდა მიწის ნაკვეთის არსებობა, რამაც ქულებზე გავლენა იქონია. არადა, ნაკვეთი ჩვენ წლების წინ გავყიდეთ, ძალიან რომ გაგვიჭირდა და სხვა გამოსავალი არ გვქონდა, იძულებული გავხდით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გაგვეყიდა. წლებია, მას სხვა ამუშავებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათზე გადაფორმებული არ არის და, სავარაუდოდ, ამის გამო მომიხსნეს. მე გადაადგილებაც მიჭირს. არ შემიძლია, დამოუკიდებლად დედოფლისწყაროში წავიდე და სოციალურ სააგენტოში მიზეზების გარკვევა ვცადო, ან იმ ნაკვეთის გადაფორმებაზე ვიარო. სააგენტოში ხელახლა შემოწმების მოთხოვნითაც ვერ მივდივარ. ჩემი შვილი მიდის ხოლმე სოციალურ სააგენტოში, მაგრამ ის ხშირად ვერ ჩამოდის, როცა მოუხერხდება, მაშინ და ასე გადის თვეები," – უყვება „შირაქს“ ნატალია მეხრიშვილი.

დამსახურებული პედაგოგის ჯანმრთელობის რთულ მდგომარეობაზე საუბრობენ მისი მეზობლებიც. სამედიცინო და სხვა სახის დახმარებებს სწორედ მეზობლები უწევენ. მათთვისაც გაუგებარია, რამ გამოიწვია მარტოხელა ქალის სარეიტინგო ქულების ზრდა.

„ხომ ნახეთ, რა რთულ მდგომარეობაშია. ხშირ-ხშირად ემართება ეპილეფსიური შეტევა, ერთხელაც ღუმელზე დაეცა და არავინ ჰყავდა მშველელი, რომ დროულად წამოეყენებინა. ჩვენ კი შემოვცვივდით, მაგრამ უკვე დამწვარი დაგვხვდა. ჩვენ ვართ მისი პატრონი. მარტოხელა ქალია და ყველანაირად უჭირს. დიდი ხანი იღებდა დახმარებას და ახლა ისეთი რა მოხდა, რომ შემწეობა შეუწყვიტეს. მეზობლები, თუ რაიმე საშუალება გვაქვს, შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, მაგრამ დღეს ისეთი დროა, ყოველთვის ვერ დაეხმარები. მისთვის ის დახმარება რომ არ მოეხსნათ, ბევრად შეუმსუბუქდებოდა მდგომარეობა და პურის ყიდვას მაინც შეძლებდა“ – აღნიშნავენ მეხრიშვილის მეზობლები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ამბობენ, რომ წელს ადგილობრივ ბიუჯეტში 700 000 ლარია გათვალისწინებული, რომელიც ამასწინათ კიდევ 20 000 ლარით გაიზარდა. მერიაში განმარტავენ, რომ რაიონული ბიუჯეტიდან სოციალური პაკეტებით ის მოქალაქეებიც სარგებლობენ, რომელთაც სარეიტინგო ქულა გაეზარდა და შემწეობა მოეხსნა. ნიკოლოზ ჯანიაშვილის მტკიცებით, დახმარების შეწყვეტა ადგილობრივი სერვისებით სარგებლობაში ხელისშემშლელი გარემოება არ არის, უფრო მეტიც: დედოფლისწყარო აქამდე 100 000-ზე ქვემოთ სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს ეხმარებოდა, ეს ზღვარი გაიზარდა და მერის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა სახის დახმარებებს უკვე ის ოჯახებიც იღებენ, რომელთაც სოციალური სააგენტოსგან შემწეობა არ ეძლევათ, თუმცა, მათი სარეიტინგო ქულა 150 000-ზე ნაკლებია.

მეხრიშვილის პრობლემას კარგად იცნობს პარლამენტის წევრი, სილნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი ირაკლი შიოლაშვილი. „ქართული ოცნების“ წევრი სარეიტინგო ქულების განსაზღვრის წესს აკრიტიკებს. მისთვის გაუგებარია, რა პრინციპით ხელმძღვანელობს სოციალური სააგენტო. შიოლაშვილი უკვე რამდენიმე თვეა ითხოვს, ოჯახების გადამოწმების პროცესში სოფლის გამგებლები ჩაერთონ, რათა შემწეობა ობიექტურად განაწილდეს მათზე, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

ირაკლი შიოლაშვილი: „საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც წინასაარჩევნო კამპანია მქონდა, ამომრჩევლებთან შეხვედრისას მუდმივად მესმოდა პრეტენზიები. „იმას რომ აქვს დახმარება, მე რატომ არ მაქვს“, „მე რატომ მომეხსნა, თუკი იმას არ შეუწყვიტეს“, „მე უფრო მიჭირს და სხვას აძლევთ დახმარებას“... უამრავი კითხვა არის დღემდე ამ საკითხზე. ჩვენც ხშირად გვეკითხებიან, მაგრამ ვერც სოფლის რწმუნებული, ვერც მაჟორიტარი, ვერც მერი, ჩვენს ამომრჩევლებს ვერანაირ პასუხს ვერ ვაძლევთ. როცა შესაბამის უწყებაში ვცდილობთ გარკვევას, მათი პასუხი არის, რომ თურმე რომელილაც აგენტმა შეამოწმა ამ ოჯახების მდგომარეობა, შეავსო კითხვარი, შემდეგ სპეციალურ პროგრამაში შეიტანა მათი მონაცემები, მიაწოდა თბილისში საინფორმაციო ცენტრს და კომპიუტერულმა სისტემამ გამოთვალა რაღაც ქულები... ამ ქულების მიხედვით დახმარება ან ინიშნება, ან – არა. ძალიან ხშირად, პენსიონერებისთვის კი არა, ჩემთვისაც გაუგებარი რჩება, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევებში რატომაა მოხსნილი, ან დანიშნული სოციალური დახმარება. თავიდან ბოლომდე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სოფლის რწმუნებული, მაჟორიტარი და მუნიციპალიტეტის მერი უკეთესად ფლობენ ინფორმაციას, რომელ სოფელში რომელ ოჯახს უფრო ეკუთვნის დახმარება. ამ ცვლილებების და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცება პოლიტიკური პროცესი და სამუშაო საკითხია. თბილისში, რომელიღაც კაბინეტში მდგარმა კომპიუტერმა განსაზღვროს შორეულ საზღვრისპირა, რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ სოფელში მცხოვრები გლეხის ბედი, ნაკლებად სამართლიანია. არადა, სოფლის რწმუნებულებმა ზედმიწევნით იციან მათი მაცხოვრებლების ყოფა. უმჯობესია, თვითმმართველობის წარმომადგენლების აზრიც იყოს დაფიქსირებული სარეიტინგო ქულების განსაზღვრის პროცესში. ადამიანებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, ვის ენიშნება, რატომ ენიშნება და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალე. თუ პროცესი იქნება გამჭირვალე, მაშინ პრეტენზიებიც ნაკლები იქნება, შესაბამისად, აღარ იქნება უსაფუძვლო მოთხოვნა. დღეს, როცა სარეიტინგო ქულას კომპიუტერი ადგენს და ოჯახებს პირდაპირ მიღებული ციფრები ეგზავნებათ, პროცესი არ არის გამჭირვალე და ამიტომაც აღარ დამთავრდა გაუთავებელი შეკითხვები და პრეტენზიები. მეთოდოლოგია რა იქნება, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ თვითმმართველობის აზრის გათვალისწინება, მნიშვნელოვანი იქნება. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევებში სოფლის რწმუნებული ვერ გამოიჩენს პირად ინტერესს. დამიჯერეთ, თუ რწმუნებული ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს არ დაასახელებს, მის სახლთან მომჩივანთა რიგი არ დაილევა და რამდენიმე ხანში მოსახსნელი გახდება ის ადამიანი. როცა იმავე სოფელში ცხოვრობ და მუშაობ, ადვილი არ იქნება შენი სოფლის წინააღმდეგ წახვიდე.

ამ საკითხზე პარლამენტში ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ გააკეთა განცხადება, რომ ნელ-ნელა, ეტაპობრივად ამ პროცესში თვითმმართველობების ჩართვაც უნდა მოხდეს. მე, როგორც სილნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი, ვეთანხმები ამ იდეას და მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი სწორი იქნება“.

შემწეობის მოხსნის მიზეზების გარკვევა „შირაქმა“ ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებაშიც სცადა. სოციალური მომსახურების სააგენტოს პრესსამსახურში არ ისურვეს განემარტათ, რამ გამოიწვია მეხრიშვილის სარეიტინგო ქულის ზრდა. მათი განმარტებით, კომენტარს ვერ გააკეთებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ანგელა მერკელის ვიზიტი რუსეთის აჩრდილის ფონგე

ევროკავშირის ფლაგმანი ქვეყნის - გერმანიის კანცლერი ჯერ საქართველოში ჩამოვიდა, ტიფლისში (როგორც გერმანელები თბილისს უწოდებენ), შემდეგ კი ერევანში გაემგზავრა და სამდღიან კავკასიურ ტურნეს ბაქოში დაასრულებს.

რა თქმა უნდა, გერმანიას თითოეული კავკასიური სახელმწიფოს მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვს და ამიტომაც ბუნებრივია, რომ მიდგომებიც დიფერენცირებულია. ხატოვნად რომ ვთქვათ, ბერლინი ერთ გეოპოლიტიკურ "მარანში დაკიდებულ სამ მტევანს", თავისი ინტერესების შესაბამისად, პოლიტიკური სიმწიფის მიხედვითაც არჩევს და იმის გათვალისწინებითაც, თუ რომლიდან რა დაიწურება, თვითონ რა სარგებელს მიიღებს.

სახელმწიფოთა ურთიერთობებში ათი წელი ბევრი არაა, მაგრამ არც ისე ცოტაა, რომ მას მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ნათელია, რომ თანამედროვე დინამიური და იმავდროულად პრობლემური მსოფლიო პოლიტიკის გამო ქვეყნების ინტერესებში ბევრი რამ იცვლება ხოლმე, რაც ადრე მუდმივი და უცვლელი ჩანდა.

რა თქმა უნდა, ამის სანაცვლოდ "მარანსაც" მოვლა-პატრონობა და მზრუნველობა ჭირდება. ასეთია ცივილიზებული ურთიერთობის პრინციპი. მართალია, გერმანული პრესა აღნიშნავს, კანცლერის სამხრეთკავკასიურ ტურნეში მთავარი ადგილი აზერბაიჯანს უკავიაო, მაგრამ რადგანაც იგი ჯერ თბილისში ჩამოვიდა, ამიტომაც ჩვენ მაინც საქართველოთი დავიწყოთ.

საქართველოში გერმანიის კანცლერის ჩასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს მმართველი ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ვიზიტისას ერთ-ერთი უმთავრესი თემა იქნებოდა „უსაფრთხოების პრობლემები და ის ვითარება, რაც შექმნილია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ". ბერლინის პოზიცია მტკიცეა ერთ საკითხში, რომ ის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ყოფნას კრიტიკულად უყურებს. მერკელს არ სურს, რომ საქართველოს გაყინული კონფლიქტების ბედი გაიზიაროს უკრაინამ და, სხვათა შორის, ხშირია ამ თემაზე მისი ბაასი პუტინთან. ამასწინანდელი შეხვედრის შემდეგ პუტინმა ღიად თქვა, პრობლემის მოგვარების საკითხში, სამწუხაროდ, წინ ვერ მივდივართო.

საქართველო: შეხვედრა ათი წლის შემდეგ

ბოლო წლებში საქართველო არაა განებივრებული ევროპის ქვეყნების მაღალი დონის პოლიტიკოსთა სტუმრობით, მით უმეტეს - "მძიმეწონიან" სახელმწიფოთა ლიდერების ვიზიტებით. აქედან გამომდინარე, კანცლერ ანგელა მერკელის ჩამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე იყო 2008 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში რუსეთთან ომში დაჭრილ საქართველოში, მაინც ისტორიულად უნდა ჩაითვალოს (აქვე შევნიშნავ, რომ სხვადასხვა ქართული წყაროების თანახმად, გდრ-ში, აღმოსავლეთ გერმანიაში დაბადებულ-გაზრდილი და გამთლიანებული გერმანიის მომავალი კანცლერი, საქართველოში 1970-იან წლებში, ახალგაზრდობის პერიოდშიც, ტურისტის სტატუსით იმყოფებოდა და მას მცხეთაში საკმაოდ ეგზოტიკური თავგადასავალი გადახდენია. სხვათა შორის, საბჭოთა საქართველოში ყოფნა ანგელა მერკელს 2008 წელსაც, თბილისში ვიზიტის დროსაც დაუდასტურებია. ასე რომ, შეიძლება ითქვას - ახლანდელი ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში მისი მესამედ ყოფნაა).

სახელმწიფოთა ურთიერთობებში ათი წელი ბევრი არაა, მაგრამ არც ისე ცოტაა, რომ მას მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ნათელია, რომ თანამედროვე დინამიური და იმავდროულად პრობლემური მსოფლიო პოლიტიკის გამო ქვეყნების ინტერესებში ბევრი რამ იცვლება ხოლმე, რაც ადრე მუდმივი და უცვლელი ჩანდა. თუმცა გერმანიის დამოკიდებულებას და ინტერესებს საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეს პრინციპი არ ეხება: ანგელა მერკელი ისევ ის ანგელაა, რომელიც ათი წლის წინ ბუქარესტში, ნატოს სამიტზე იყო, რომლის დროსაც იგი წინ აღუდგა ჯორჯ ბუშს (და რომელზეც ვლადიმერ პუტინიც იყო მიწვეული და სიტყვითაც გამოვიდა).

ფაქტია, რომ ბუქარესტული გამბიტის შემდეგ კანცლერს ქართულ პრო-დასავლურ პოლიტიკურ წრეებში მაინც-დამაინც პოზიტიური დამოკიდებულება არ ჩამოუყალიბდა. ამას, რა თქმა უნდა, ხმამაღლა არ აცხადებდნენ, მაგრამ მისდამი წყენა პოლიტიკური "სამზარეულოს" საუბრებში და კულუარებში აშკარად შეიმჩნეოდა. ყველა ფიქრობდა, რომ საქართველოს ალიანსში მიღების საკითხში სწორედ გერმანია ასრულებდა ნატოს წევრ-ქვეყნებში ნეგატიური ტონის მიმცემი ქვეყნის როლს. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბოლო წლებში გერმანულ მასმედიაში რეგულარულად ქვეყნდებოდა საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი კანონდარღვევების ქრონიკა, რაც გერმანიის კანონმორჩილ მოსახლეობაში გარკვეულ ანტიქართულ განწყობას ქმნიდა. ამიტომაც იყო, რომ სწორედ ისევ გერმანიამ შეიტანა ეჭვი საქართველოსთვის ლიბერალური სავიზო რეჟიმის დაწესებაში და მისი ინიციატივით იქნა მიღებული "შეჩერება-გაუქმების მექანიზმი"...

და ბოლოს, ერთი წელიც არ იყო გასული, რომ სწორედ ბერლინმა დაიწყო ამ მექანიზმის პრაქტიკულად გამოყენების მცდელობა. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიაში თბილისიდან რამდენიმე დელეგაცია ჩავიდა, მხარეებმა სიტუაციის გაუმჯობესების გზები დასახეს და მდგომარეობაც თანდათან უმჯობესდება, თუმცა პრობლემა საბოლოოდ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის და საკითხი ისევ ღიად რჩება.

თბილისი შეშფოთებული იყო იმითაც, რომ ანგელა მერკელსა და ვლადიმირ პუტინს შორის რამდენიმე დღის წინ გამართული სამსაათიანი მოლაპარაკების დროს საქართველოს თემა არ გაჟღერებულა. ქართული ოპოზიცია ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ ხელისუფლება საგარეო პოლიტიკურ კურსს ჯეროვნად ვერ ატარებს, ამიტომაც, საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგიდან ამოვარდა და, ადრინდელი პერიოდისაგან განსხვავებით, დღეს დასავლეთისთვის საინტერესო აღარ არისო. თავის მხრივ,ექსპერტები ამბობენ, რომ, ჯერ-ჯერობით, მერკელ-პუტინის მიერ განხილული ყველა საკითხი ცნობილი არაა - ასეთი მძიმეწონიანი ლიდერები შეხვედრის დეტალებს უცებ არ ამხელენ ხოლმე .

ამ ფონზე კანცლერის საქართველოში ვიზიტისგან განსაკუთრებულ გარღვევას არავინ მოელის, მაგრამ იმაზეც არავინ დავობს, რომ ვიზიტი დიდი მოვლენაა და ის, რომ მერკელი საქართველოში სწორედ პუტინთან შეხვედრის შემდეგ ჩამოდის, გერმანიის ძლიერ მხარდაჭერაზე მიუთითებს.

ანგელა მერკელმა საოკუპაციო ხაზთან ვიზიტის შემდეგ პირველად იხმარა სიტყვა „ოკუპაცია". „კი, კი, ეს ოკუპირებული ტერიტორიებია... ცხადია... არ მეშინია, ვთქვა, რომ ეს არის (საქართველოს) 20 პროცენტის ოკუპაცია... მაგრამ, ამავე დროს, ეს დიდი უსამართლობაც არის"...

რა თქმა უნდა, საქართველო-გერმანიის ურთიერთობებში მართლაც ბევრი რამ პოზიტიურიცაა და კეთილმეგობრულიც, გერმანია ბევრ სფეროში გვიწევს დახმარებას, მაგრამ "კრემლის აჩრდილი" მაინც თავისას შვრება: ბერლინი ტიფლისის მიმართ ფრთხილად მოქმედებს და მოსკოვთან საკუთარ ურთიერთობებს უფრთხილდება. არადა, იყო დრო ასი წლის წინათ, როცა გერმანია ჩვენს ჩრდილოელ მეზობელზე ზეწოლას ახდენდა და საქართველოსთვის უპირველეს მეგობრად და მშველელად მოიაზრებოდა, გერმანიის ელჩი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი კი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ "დრონი იცვალენ": დღეს რეალ-პოლიტიკა ისეთია, რომ გერმანია იძულებულია, რუსეთს ანგარიში გაუწიოს, რასაც ისტორიულ-პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად ეკონომიკურიც განაპირობებს (ალბათ ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად) - მის დინამიურად მზარდ და ევროკავშირში უძლიერეს ეკონომიკას სულ უფრო მეტად ჭირდება შედარებით იაფი რუსული გაზი. თუმცა, ბერლინი ამერიკის საყვედურებსაც ისმენს (დონალდ ტრამპის გამოთქმა - "შენ რუსეთის ტყვე ხარ", - მართლაც დამცინავია!) და ამიტომ ცდილობს გაზით უზრუნველყოფის დივერსიფიცირება მოახდინოს .

ოფიციალურად, ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტის დროს აქცენტები იქნება დასმული რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მეათე წლისთავსა და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე, საქართველოსთან დაკავშირებით ნატოს "ღია კარის პოლიტიკის" მხარდაჭერაზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობაზე გერმანიასთან მიმართებით (4,5%-იანი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით), ლიბერალური სავიზო რეჟიმთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მსოფლიოში ცნობილ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში საქართველოს მონაწილეობაზე (საპატიო სტუმრის სტატუსით), თუმცა აშკარაა, რომ ჩამოთვლილი საკითხებიდან ჩვენთვის მაინც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია გერმანიის პოზიციის ცვლილება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხში და რუსეთის როლის იგნორირება.

ანალიტიკოსებისთვის ცხადია ისიც, რომ ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების პროცესის მიმართ გერმანიის სკეპტიციზმი დიდწილად სწორედ რუსეთის არგაღიზიანების სურვილით არის განპირობებული. საქმე ის არის, რომ გერმანია, სათავისო გათვლებით, დიდწილად არის დამოკიდებული რუსეთის მიერ მართულ ენერგეტიკულ რესურსებზე და ამ ენერგეტიკულ დამოკიდებულებას კიდევ უფრო გააღრმავებს მშენებარე გაზსადენის პროექტი - „ჩრდილოეთის ნაკადი 2", რომელზეც ილაპარაკეს მერკელმა და პუტინმა 19 აგვისტოს გერმანიაში შეხვედრის დროს.

(გაგრძელება გვ.7)

რა სურთ ახალგაზრდებს?

ხშირად წაგვიკითხავს ან გვსმენია, რომ ახალგაზრდობა – ესაა ცხოვრების საუკეთესო ნაწილი, პერიოდი, როცა ადამიანს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, აისრულოს ოცნებები, დაუშვას შეცდომები, შემდეგ საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს და, რაც მთავარია, ესაა საუკეთესო დრო ადამიანად ჩამოყალიბებისთვის, კარგი ბაზისის შექმნისთვის, მომავალი განვითარების გზაზე. საუკეთესო ბაზისის შესაქმნელად კი საჭიროა დიდი სურვილი, მიზანდასახულობა და ბევრი შრომა. ერთი შეხედვით, ეს მარტივი ფორმულაა, თუმცა, მისი განხორციელებაა საკმაოდ რთული. ამასთანავე, ძნელად თუ ვიპოვით ახალგაზრდას, რომელსაც არ სურს იყოს წარმატებული ან არ ჰქონდეს მიზნები, თუმცა ყველაფერი ისე მარტივი როდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს...

ქართული რეალობა განსხვავებულია, დღეს არსებული სოციალური პრობლემების ფონზე. ჩვენც შევეცდებით, შევეხოთ ყველაზე აქტუალურ საკითხებს, რაც ანუხებთ ქართველ ახალგაზრდებს, რადგან ჩვენს ირგვლივ მოვლენები სპეციფიკურ გარემოში მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ გარკვეულ, სხვებისგან გამორჩეულ, გავლენას ახდენს ყველაფერზე, მათ შორის ახალგაზრდების ინტერესის სფეროზეც.

ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს ზუსტად ჩამოყალიბებული მკაფიო მიზანი. არ იციან რა უნდათ, რა სჭირდებათ, რას უნდათ მიაღწიონ და რა უნდა გააკეთონ ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე. ეს ეხება ყველაფერს, მათ შორის პროფესიასაც, ხშირად ხდება ისე, რომ ქართველი ახალგაზრდა სრულიად გაუაზრებლად ილებს გადაწყვეტილებას საკუთარი პროფესიის შესახებ, ისწავლის წლების მანძილზე და მხოლოდ დასრულების შემდეგ აღმოაჩენს, რომ ეს არ ყოფილა მისი ცხოვრების მიზანი და რომ ტყუილად დაკარგა წლები. ამას თავისი მიზეზი აქვს, როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველებს ყველაფრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, ამიტომ ერთ-ერთი ასეთი დამოკიდებულების თანახმად, ყველა თავმოყვარე ქართველი ახალგაზრდა 17 წლის ასაკში აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ ერთი უნივერსიტეტის სტუდენტი მაინც და ეუფლებოდეს ისეთ პრესტიჟულ სპეციალობას, რომელიც აღნიშნული ახალგაზრდის ოჯახს მისცემს თავის მოწონების საბაბს. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ 17 წლის მოზარდს ნამდვილად არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, თუ რა უნდა, არათუ გააკეთოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული არჩევანი. არასწორად განსაზღვრულ არჩევანს მოჰყვება პრობლემათა ნაკადი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნის პრობლემა. სწორედ ცხოვრების საწყის ეტაპზე არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ ბევრ ადამიანს არ მისცა საშუალება, დაემკვიდრებინა თავი საზოგადოებაში. ახალგაზრდების უმრავლესობას აქვს იმის შიში, რომ ისინი ვერ მოახერხებენ არსებულ, არასტაბილურ, მუდმივად ცვალებად გარემოში ორიენტირებას, რომ ვერ შეძლებენ საკუთარი სტატუსის განსაზღვრას და რომ ვერ იქნებიან წარმატებულები, ეს პრობლემები ჩრდილად ადგას ახალგაზრდულ წლებს, რომლებიც წესით ბედნიერი და ლაღი უნდა იყოს.

ინტერესების არარსებობაი კიდევ ერთი სპეციფიკურად ქართული პრობლემა. ქართველი ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ აქვს ინტერესები და გატაცებები, რასაც, როგორც ყველაფერს, აქვს საკუთარი ახსნა, სოციოლოგების საყვარელ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, არსებობს გარკვეული მიზეზშედეგობრივი კავშირები აღნიშნულ პრობლემასა და იმ ვითარებას შორის, რაც ქართულ დასაქმების ბაზარზეა. ერთადერთი მოთხოვნა, რაც დღეს არსებობს დასაქმების ბაზარზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნაა, სხვა დანარჩენს კი არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ახალგაზრდები კი ყველაზე კარგად ხედავენ, რომ ეს არის უმოკლესი და ყველაზე მარტივი გზა წარმატებისკენ.

არ შემიძლია არ შევეხო კიდევ ერთ მნიშვნელოვან „ახალგაზრდულ დაავადებას"-სიზარმაცეს, რაც, მართალია, სხვადასხვა ხარისხით, თუმცა ახალგაზრდების სრულ უმრავლესობას აწუხებს. გვგონია, რომ ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს, რომ ყველაფრის გაკეთებას მოვასწრებთ და ამ ფიქრებსა და იმედებში გადის ძალიან დიდი დრო, შემდეგ კი ხვდები, რომ არ გაგიკეთებია იმისი უმცირესი ნაწილიც კი, რისი გაკეთების საშუალება და შესაძლებლობები გქონდა, რჩება მხოლოდ იმედგაცრუება და დაკარგული დრო, რომელსაც ვეღარ აანაზღაურებ.

ქართველი ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამუშაო ადგილების პრობლემა, აქ არ ვგულისხმობ რაიმე საკვანძო თანამდებობებს, რომლებზეც, როგორც წესი, ახალგაზრდობის უმრავლესობა ოცნებობს. საუბარია წამახალისებელ სამუშაოებზე, რომლებიც საშუალებას მისცემდათ ახალგაზრდებს, მიეღოთ გარკვეული სამუშაო გამოცდილება და ნანილობრივი ფინანსური დამოუკიდებლობა მაინც. მისცემდა ქართველ სტუდენტს საშუალებას სწავლის პარალელურად ემუშავა და ჰქონოდა საკუთარი შემოსავალი, ასეთი სამუშაოების ნაკლებობა ნამდვილად არის ქვეყანაში, თუმცა ამ პრობლემას მეორე მხარეც აქვს, ქართველს არ ეკადრება მუშაობა მისი პროფესიისა და წარმომავლობისათვის შეუფერებლ სამსახურში, სამწუხაროდ, ასე ბევრი ქართველი ახალგაზრდა დღემდე ფიქრობს.

ახალგაზრდობის პრობლემების ჩამონათვალი ძალიან დიდია და ყველა მათგანზე ფოკუსირება დიდ დროს მოითხოვს, თუმცა, მინდა, ძალიან აქტუალურ პრობლემას შევეხო, ესაა – საზღვარგარეთ განათლების მიღების პროგლემა. საქართველოში ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარი გახდა უცხოეთში განათლების მიღების საკითხი, თუ გინდა კარგი სამსახური და კარიერა, გავლით მაინც უნდა იყო ნამყოფი ევროპის რომელიმე ქვეყანაში, ეს კი კვლავ ქართული დასაქმების ბაზრის პრობლემებთან მიგვიყვანს, რომლის მესვეურთ, რატომღაც, ჰგონიათ, რომ ევროპის ყველა სასწავლო დაწესებულება უმაღლესი დონისაა და თუ ახალგაზრდა ასეთ დაწესებულებაში თუნდაც რამდენიმე დღეს გაატარებს, ის უკვე უმაღლესი კვალიფიკაციისა, რეალობა კი ასეთია: ბევრი უცხოური სასწავლებელი დიდად არ განსხვავდება ქართული დაწესებულებებისგან და ხშირ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები ისტორია და სწავლების ხარისხიც აქვთ, თუმცა ვითარება უცვლელია და ამიტომაც ქართველი ახალგაზრდების ოცნებისა და სიზმრების მთავარ ობიექტს სწორედ საზღვარგარეთ მოხვედრა წარმოადგენს, არა იმის გამო, რომ იქ ნამდვილი და ხარისხიანი განათლება მიიღონ, არამედ იმიტომ, რომ ეს გარკვეულ პრესტიჟსა და მომგებიან პოზიციას მოუტანს ქართულ რეალობაში.

როგორც უკვე ვთქვი, ახალგაზრდობის პრობლემები უაღრესად მრავალგანზომილებიანია, ამავე დროს, ყველა პრობლემა ინდივიდუალურია, როგორც თავად ადამიანი, ამიტომ შესაძლოა ვინმეს ამ პრობლემებიდან რომელიმე არ ეხებოდეს, ან მხოლოდ გარკვეული ხარისხით. ამიტომ მოვუსმინოთ მათაც.

სალომე ნატროშვილი, **იურისტი:** ახალგაზრდობის მთავარი გამოწვევა თუ სირთულე, რაც უნდა ვუწოდოთ მას, დღეს, ჩემი აზრით, არის ალტერნატივის დეფიციტი. ეს ნაკლებობა, ცხადია, სათავეს იღებს განათლებიდან როგორც ზოგად, ისე უმაღლეს საფეხურზე და არაფორმალურ სივრცეში. ეს შედეგის სახით იმაში გამოიხატება, რომ რეალიზების თვალსაზრისით, ჩვენ უამრავი პრობლემა გვაქვს. საზოგადოებაში კვლავ ღრმად გამჯდარი სტერეოტიპების წყალობით, ისევ სასიცოცხლო აუცილებლობად განიხილება უმაღლესი განათლების დიპლომის ქონა, სკოლის დამთავრებისთანავე "უმაღლესში მოწყობა", რაც განაპირობებს უმუშევრობას შემდგომში, ვინაიდან შრომის ბაზარი შესაბამისი კვალიფიკაციების მიხედვით, ვერ ილებს ამდენ დიპლომირებულს. ეს ნიშნავს იმას, რომ 4 წელი ადამიანს ამ მიმართულებით დაკარგული აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესი განათლება ერთგვარი "თილისმაა," მზითვი ქალისთვის და სავალდებულო სამხედრო სამსახურის თავიდან აცილება ბიჭებისთვის. გარდა ამისა, ცნობილი ჩეხი მწერალი ერთ-ერთ თავის რომანში "შეუცნობელი" ამბობს, ადამიანების უმრავლესობა საკუთარი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან რამდენიმე არჩევანს უმეტესწილად გაუცნობიერებლად აკეთებს. პროფესია კი ერთ-ერთი ამ არჩევანთაგანია. კვალიფიციური განათლებისა და სათანადო სამუშაო სივრცის უქონლობა იწვევს ბუნებრივ და ყოვლისმომცველ იმედგაცრუებას და ახალგაზრდები უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობის პერსპექტივას უცხოეთში წასვლაში ხედავენ, საკუთარ ქვეყანაზე გაბრაზებულები. წარმოდგენები ემიგრაციაზე კი ხშირად ძალიან განსხვავდება რეალობისგან და შრომის კულტურის არმქონე ადამიანებს იქაც იმედგაცრუება ელოდებათ, სამწუხაროდ. მე ვფიქრობ, ჩვენ ვერ შევძლებთ ადგილის დამკვიდრებას იმ პირობებში, როდესაც ეს ადგილი აპრიორი ჯერ განსაზღვრა საზოგადოებამ და ოჯახმა. ჩვენ ვცხოვრობთ ოჯახებში, მშობლებთან და შემდეგ ყოველგვარი ინტერვალის გარეშე, უკვე საკუთარ ოჯახებს ვქმნით. ამ თანმიმდევრობას ინერციით მივყვებით, როგორც წესს, რომელიც უნდა შესრულდეს, ისე, რომ ვტოვებთ მთავარს - მარტო ცხოვრების ეტაპს. ეს კი არის საკუთარი თავის პოვნის, თვითგანსაზღვრის და შემდეგ უკვე საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების მთავარი წინაპირობა. ჩვენი მთავარი სიძნელე სწორედ ამაშია ინდივიდუალურ დონეზე. რაც შეეხება, ახალგაზრდობის პოლიტიკას, ეს მარტივი მიზეზისა და შედეგის საკითხია, განათლების ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და კეთილგანწყობა არის გზა ალტერნატივების შესაქმნელად აქ და ახლა. ალტერნატივების უქონლობაა მთავარი საფუძველი რეგიონების დაბერების, მომაკვდავი სოფლების და იქ 3-მოსწავლიანი პირველი კლასების. ამიტომ, ვფიქრობ, მთავარი მრავალფეროვნებისა და ალტერნატივებისთვის გზის გახსნაა, როგორც ახალგაზრდობის, ისე მთელი საზოგადოების მხრიდან.

ერეკლე ჩერქეზიშვილი, **სტუდენტი**: – მოკლედ, რა მაწუხებს, როგორც ახალგაზრდას? – ჩამოვთვლიდი ბევრ რაღაცას,მაგრამ შესაძლოა, ამ რაღაცეებს მხოლოდ ჩემთან ჰქონდეს კავშირი და არა ჩემს თაობასთან, ამიტომ ვიტყვი იმას, რაც მგონია, რომ მართლა პრობლემაა და ჩემი თანატოლების ამბებიდანაც გამომიტანია იგივე დასკვნა.

ესაა გულგრილი მასწავლებლები. მასწავლებლები, რომლებიც სკოლაში მოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ხელფასი აიღონ და იმის იქით რაც მოხდება, მოხდეს. თავად მასწავლებლებში სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობა, მაგრამ მანამდე პედაგოგი თავის საგანზე, რომელიც უნდა ესმოდეს, უყვარდეს და ენთუზიაზმით გასწავლიდეს, გულგრილად რომ ლაპარაკობს და უღიმღამოდ- როგორ უნდა დაგაინტერესოს მოსწავლე, ვერ ვხვდები. თავად მასწავლებლს რომ ეზარება გაკვეთილი - ძალიან ცუდია, მესმის დაბალი ხელფასებია, მაგრამ ეგ ხომ ბავშვების ბრალი არაა და ის, ვინც უნდა შთაგაგონებდეს და სტიმულს გაძლევდეს, პირიქით გაფერხებს. საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი და იმიტომ ვსაუბრობ ასე თამამად. თუმცა, მადლიერი ვარ, რომ მსგავსი მასწავლებლების საპირისპირო პედაგოგებსაც შევხვდი რამდენიმეს, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ,

მაგრამ ზოგ ჩემს მეგობარს არ გაუმართლა.

ახალგაზრდები ნელ-ნელა მივდივართ იმ აზრამდე, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა გვაკისრია და განუკითხაობასა და 90-იანებში აღარ ვცხოვრობთ. უკვე ვხვდებით, რომ ქუჩაში სიგარეტის გადაგდება ცუდია, ქაღალდები არ უნდა დავყაროთ. გრძელი თმები თუ აქვს ბიჭს- არაუშავს და გოგოს თუ მოკლე კაბა აცვია ან ფერადია, არც ეგაა პრობლემა. შესაძლოა, სხვანაირი შეხედულებები გვქონდეს, მაგრამ მაინც მშვიდად მოვახერხოთ თანაცხოვრება და არ დავხოცოთ ერთმანეთი და შევიზიზღოთ. ვაპროტესტებთ უსამართლობას ქვეყანაში და ასე შემდეგ... და უფროსი თაობა თუ ყელში არ წაგვიჭერს ახალგაზრდებს და არ გვაიძულებს, დავიჯეროთ, რომ მხოლოდ ერთი სწორი გზა არსებობს და ეს გზა მხოლოდ უფროსმა თაობამ იცის, ძალიან კარგი იქნება.

დავით პაპუაშვილი, **ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებული** – ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს,რომ ახალგაზრდა თაობა პრობლემას ეძებს არა საკუთარ თავში,არამედ სხვადასხვა გარემოებებში, არიან უინიციატივოები და დათრგუნულები, არ აქვთ გარკვეული მიზნები. რა თქმა უნდა, ეს გარემო ფაქტორებზეც არის დამოკიდებული. კერძოდ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილები ძალიან მცირეა. თუმცა, თუ გაგიმართლა და მუშაობა დაიწყე, ხელფასი მიზერულია, რაც არსებობისთვის არ არის საკმარისი. ასევე, დაბალია განათლების დონე და, სამწუხაროდ,ქვეყანას არ ჰყავს პროფესიონალები. გულით რომ უნდოდეს ახალგაზრდას, თანამედროვე სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, ჩვენი განათლების სისტემის ფონზე. ამის დასკვნის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტების მიერ გაცემულ დიპლომებს არ აღიარებენ უცხოეთის წამყვანი ქვეყნები. ამიტომ ახალგაზრდები იძულებულნი არიან, წავიდნენ საზღვარგარეთ, მიიღონ ხარისხიანი განათლება, დასაქმდნენ და ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრება. მე, მაგალითად,ვისურვებდი სწავლის გაგრძელებას გაცვლითი პროგრამით და მოხარული ვიქნებოდი, თუ იგივე ხარისხის ცოდნას მივიღებდი საკუთარ სამშობლოში. რადგანაც განათლება უპირველესია ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში.

ანა, 13 წლის – ხშირად გამიგონია ძველი თაობისგან ეს ფრაზა: "ეს თაობა დაგვანგრევს, მოგვსპობს, ააოხრებს საქართველოს", იგივეს იძახდნენ იმ თაობაზეც, რომელიც ამას ამბობს. ტექნიკა რაც უფრო ვითარდება, მით უფრო შტერდებაო თაობა, ამას არ ვეთანხმები, ასეთ შესწორებას შევიტანდი: ტექნიკა რაც უფრო განვითარდა, მით უფრო ხელმისაწვდომია კავშირი. კავშირი კი სულაც არ არის ცუდი.

ძველი თაობის გასაჭირი და პრობლემები თუ ის იყო, რომ პურის ფული, გაზი და დენი არ ჰქონდათ, რომ გამოკვებილიყვნენ, დღევანდელი თაობის პრობლემა ის არის, რომ მშობელმა არ დართო უფლება, თმა მწვანედ შეეღება. სულიერება დაიკარგა ადამიანში...

ახლა მხოლოდ სოციალური ქსელი, მოწონებები თუ გამოწერები აინტერესებთ. სოციალურ ქსელს კარგი მხარეც აქვს, რომ შეიტყო ახალი ინფორმაცია, მაგრამ სულ სოციალური ქსელით დასხივებას, ეზოში სეირნობა და გართობა სჯობს, რაც ადრინდელი თაობის ბავშვებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

თანამედროვე თაობას ყველაფერი აინტერესებს სწავლის გარდა (ყველას არ ვგულისხმობ), ამიტომაც მოსდით ხშირად უთანხმოება მშობლებთან. ბევრს არც მშობლის აზრი აინტერესებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად ეს ხდება მიზეზი ბავშვის სახლიდან წასვლის. ახალმა თაობამ დაკარგა სულისკვეთება და პატრიოტული სული.

ჩემი აზრით, დღევანდელ თაობას დიდი გასაქანი აქვს მეტის მიღწევისთვის, მაგრამ ნაკლებად ცდილობს ამას. ჩემს ცხოვრებაში მსგავსი პრობლემები არ იჩენს თავს... ჩვენ ალბათ თვითონ აღვიქვამთ რაღაცას პრობლემად, რაც შეიძლება სულაც არ წარმოადგენდეს სირთულეს.

ქეთი, 15 წლის – XXI საუკუნის თაობა ბევრად განსხვავდება გასული საუკუნის ახალგაზრდობისგან. შეიცვალა გარემო, პირობები, ადამიანები თავიანთი შეხედულებებით, ჩაცმის სტილით, დაიხვეწა ტექნიკა, გაჩნდა ინტერნეტი, რამაც გამოიწვია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განვითარდა ხალხი. ბოლო წლებში გატარებულმა საგანმანათლებლო რეფორმებმა უდიდესი ძვრები მოახდინა განათლების სისტემაში. მე ვფიქრობ, რომ ჩემი თაობის ახალგაზრდები განვითარებულები და განათლებულები არიან, თუმცა არიან გამონაკლისები, რომლებიც ყველა თაობაში არსებობენ, მაგრამ ძირითადად მაინც შეიმჩნევა მონდომება და მოტივაცია სწავლის მიმართ.

მე მომწონს ჩემი თაობა. ის ძველთან შედარებით თანამედროვეა. ბევრ დრომოჭმულ ტრადიციას მეც არ ვიზიარებ.

ახალი თაობის განვითარებასა და წარმატებას განაპირობებს სახელმწიფოს ზრუნვა მათზე, უნდა შევქმნათ გარემო პირობები სწავლისათვის, სწორი აზროვნებისთვის, მივცეთ მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალება. ჯანსაღი თაობა ძლიერი სახელმწიფოს გარანტიაა.

მასალა მოამზადა
ინგა ციულაშვილმა

„ჩემი სამშობლო, ეგრე ლამაზი“...

ჩვენს პატარა სამშობლოს, ჩვენს საქართველოს, ღმერთმა უდიდესი საგანძური – გამორჩეული ბუნება უბოძა. ამას საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის ხელით და გონებით, რწმენით და მოვალეობით შექმნილი კულტურული თუ ისტორიული ძეგლებიც დაემატა და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ ქვეყანა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე სიურპრიზს გვთავაზობს და გვაოცებს. რომელ კუთხეშიც გინდა ჩახვიდეთ, სანახავს ვერ ამოწურავთ და ნანახით აღფრთოვანებას ვერ გაექცევით. სწორედ ასეთი აღფრთოვანებულები დავრჩით ამასწინათ მოწყობილი ექსკურსიით რედაქციის თანამშრომლები, რომლებსაც სოფელ ხორნაბუჯის სკოლის პედაგოგები და კიდევ რამდენიმე პიროვნება შემოგვემატა. დიდი ხანია, რედაქციელებს გვინდოდა მარტვილის „კანიონის“ და „პრომეთეს მღვიმის“ ნახვა და მარშრუტიც შედგა: დილის 6 საათზე დედოფლისწყაროდან უკვე გავედით. 1 საათისთვის ზუგდიდში, დადიანების სასახლეში ვიყავით. ულამაზესი ბაღი შემოგვეგება და ცოტა ხანში სასახლეშიც შეგვიძღვნენ მასპინძლები, რომლის ფუნქციასაც გიდები ასრულებენ...

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დაარსდა 1921 წელს სამეგრელოს ყოფილ მთავართა სასახლეებში დაცული არქივებისა და ნივთების ბაზაზე რომელიც მოთავსებულია დადიანისეულ 2 სასახლეში.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ინახება მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ექსპონატები და რელიგიური სიწმინდეები. მუზეუმის გარშემო მდებარეობს სამეგრელოს მთავარების დადიანების მიერ გაშენებული ტყე-პარკი 67 ჰექტარზე, სადაც ხაროობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი უნიკალური და მრავალწლიანი ხეები და ბუჩქები.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი სამეგრელოს სასახლე-კომპლექსშია მოთავსებული (დედოფლის სასახლე, ნიკოსეული სასახლე, მთავრისეული ტაძარი და სასახლესთან არსებული დეკორატიული ბაღი).

დედოფლისეული სასახლე XIX საუკუნის 60-იან წლებშია გადაკეთებული გერმანელი არქიტექტორის რაისის მიერ, მანამდე ის სამეგრელოს მთავრის დავითის დის, პუპის სასახლე იყო. რაისმა II სართულს თაღები დააშენა და ფართო ფლიგელები მიუშენა. ნიკოსეული სასახლე XIX საუკუნის 80-იან წლებშია აგებული რუსი არქიტექტორის ლეონიდ ვასილიევის მიერ. რეზიდენცია ორსართულიანია, ამშვენებს ქვის აივანი და საქართველოში ყველაზე დიდი სამეჯლისო დარბაზი.

მუზეუმი დაარსდა 1921 წლის აპრილში სამეგრელოს მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის ძველ ნივთთა საცავ-საგანძურისა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებიდან გადმოტანილ ქართულ სიძველეთა ბაზაზე.

მის ფონდებში დაცულია 50000-მდე ექსპონატი, ეროვნული (ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული XIX საუკუნის დასასრულის დადიანების მემორიალური ნივთებით დამთავრებული) და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები. აქ დაცული მსოფლიო დონის იტალიელი, ფრანგი, ინგლისელი თუ სხვა მხატვართა მიერ შესრულებული უნიკალური ნამუშევრები, მათ შორის დადიანების დინასტიის და მშვენიერი ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტები, მდიდარ წარმოდგენას გიქმნის იმ საზოგადოებაზე, რომელიც აქ, ამ კედლებში იყრიდა თავს, უზარმაზარი, უძვირფასესი ბიბლიოთეკა, ავეჯი, ჭურჭელი და უამრავი სხვა რამ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ბედი გვწყალობდა და დასათვალიერებელ ობიექტზე მისვლისთანავე, დროებით გამოიდარებდა-ხოლმე. ზუგდიდიდან გეზი მარტვილისკენ ავიღეთ და „კანიონზე“ მისულებს, სადღაც მზის თვალიც კი შემოგვეპარა. ეს ხეობა წარმოუდგენელ, ენით აუწერელ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ბუნების ხელით შექმნილი ბროლად გადმომსკდარი ჩანჩქერებით, ასევე ფაუნისა და ფლორის მრავალფეროვნებით. ნავებით გასეირნების დროს კი ხვდები, რომ ეს არის ადგილი, რომელიც ადამიანმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა ნახოს, რადგან მისი გადმოცემა შეუძლებელია... შთაბეჭდილებისგან დამუნჯებულები ვისხედით მიკროავტობუსში და თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად გულში ათასგზის ვიმეორებდით: **რა ლამაზი ხარ, მამულო, შენი გამჩენის ჭირიმე!**

მარტვილის კანიონის შემდეგ მარტვილის მამათა მონასტერს ვეწვიეთ.

მონასტერი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ცენტრის მახლობლად, კონცხად გამოწეულ მთის თხემზე. მთის ძირში ფართოდ გადაშლილია მდინარე ცხენისწყლისა და მდინარე აბაშის ველები. მონასტრიდან თითქმის მთელი იმერეთი და სამეგრელო მოჩანს. იგი გალავნითაა შემოსაზღვრული. მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. სიტყვა „მარტვილი“ ბერძნულია და ნიშნავს „წამებულს“. ძველი დასახლებული პუნქტის, მარტვილის, თავდაპირველი სახელწოდება იყო ჭყონდიდი. VII საუკუნის I ნახევარში აქ მარტვილთა სახელზე ააგეს ეკლესია - ჭყონდიდის მარტვილთა ეკლესია. X საუკუნეში დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო - კათედრალი მარტვილი. გვიანდელ შუა საუკუნეებში ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა გახდა და მარტვილი მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელად დარჩა. ეკლესია მოვილოცეთ და კიდევაც შეღამდა.

ღამე წყალტუბოს მახლობლად, სოფელ ბანოჯაში, საოჯახო სასტუმროში გავათენეთ. ტრადიციულად შევწვით მწვადები, მხიარულად ვივახშმეთ და უკვე ნანახის ტყვეობაში მყოფებმა და მომავალი დღის ინტერესებზე ფიქრში გართულებმა, ძლივს მოვახერხეთ ჩაძინება. მეორე დღეს, ათი საათისთვის უკვე „პრომეთეს მღვიმის“ მისაღებ დარბაზში ვიდექით. დარბაზი სავსე იყო ვიზიტორებით, რომელთა შორის უმრავლესობას უცხოელები წარმოადგენდნენ. ქართული ჯგუფის გიდმა მოგვიხმო და ჩვენ საოცრებათა სამყაროში შევედით.

„პრომეთეს მღვიმე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, მდინარე ყუმის აუზში მდებარეობს. მღვიმეში აღმოჩენილია 22 დარბაზი, საიდანაც ტურისტებისთვის, ჯერჯერობით, 6 დარბაზია გახსნილი.

მღვიმეში შესაძლებელია 1 420 მეტრის სიგრძის ბილიკის გავლა, დარბაზების დათვალიერება და სანაოსნო ტურით გასეირნება მდინარის გამდინარე ნაკადზე.

„პრომეთეს მღვიმის“ აღმოჩენას საინტერესო ისტორია აქვს. 1982 წელს ამიერკავკასიაში საბჭოთა კავშირის სარდლობამ დაიწყო ისეთი მღვიმეების ძიება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ატომური ომის დროს მოსახლეობის დაცვა. ამ მიზნით გეოგრაფიის ინსტიტუტში შედგა ჯგუფი ჯუმბერ ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით.

1983 წლის 15 ივლისს ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა: ჯუმბერ ჯიშკარიანმა, ამირან ჯამრიშვილმა, ვახტანგ კაპანაძემ და თამაზ ქობულაშვილმა სოფელ ყუმისთავთან ახალი მღვიმე აღმოაჩინეს. 1984 წელს დაიწყო მღვიმის ტურისტულად განვითარების გეგმაზე მუშაობა. მოგვიანებით გეოგრაფიის ინსტიტუტის აკადემიკოს ზურაბ ტატაშიძის ხელმძღვანელობით მღვიმის მრავალწლიანი, დეტალური კვლევა დაიწყო. 1986-1990 წლებში მღვიმეში პირველი ბილიკები გაკეთდა, რომელთა სიგრძე 1050 მეტრი იყო.

1992-2007 წლებში, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, შეწყვეტილი იყო ყველანაირი სამუშაოები.

ამ პერიოდში მღვიმეს არასასურველი ვიზიტორებისგან დარაჯი, გიორგი ტყაბლაძე იცავდა. 2010 წელს მღვიმის ეზოში სწორედ მისი ძეგლი გაიხსნა.

2007 წელს მღვიმეში „ქართუ ჯგუფმა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. მრავალი წლის შემდეგ განახლდა მღვიმის კომპლექსური შესწავლა და ახალი ინფრასტრუქტურის დანერგვა. 2011 წელს მღვიმე ოფიციალურად გაიხსნა და მას „პრომეთეს მღვიმე“ ეწოდა. მღვიმის კვლევა დღესაც გრძელდება.

ხეობაში 20 მილიონი წლის მანძილზე შექმნილ კალცის თუ თიხის სტალაგმიტების, სტალაქტიტების და სტალაგმატების ერთობლიობა ჰქმნის სივრცეს, რომელიც საკუთარი თვალით უნდა ნახო, რადგან მისი გადმოცემა არანაირ მჭერმეტყველ ადამიანს არ შეუძლია. მიწის ქვეშ 80 მეტრის სიღრმეზე ჩასულებს, არც სუნთქვა გაგვძნელებია და არც არავითარი დისკომფორტი არ გვიგრძნია, გარდა იმისა, რომ სასწაულად ნოტიო და რბილი ჰაერი სასიამოვნოდ გველამუნებოდა და ეს შეგრძნება დიდხანს გამოგვყვა ღია სივრცეშიც. და როგორც გიდმა აგვიხსნა, ამ მღვიმეში რამდენიმე საათის გატარება სასარგებლოა ასთმით და სხვა ბრონქიალური დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. ისიც გვითხრა, რომ მალე გაიხსნება სპეციალური სამკურნალო დარბაზი და ასეთ ავადმყოფებს შეეძლებათ აქ სეანსების მიღება, რაც, რა თქმა უნდა, ფასიანი იქნება. მარშრუტის გამოსასვლელში დგას კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს სკულპტურა, რომელსაც ერთგული ძაღლი გვერდით უდგას, რათა ლოკვით გაწყვიტოს მეგობრის ჯაჭვი და თავისუფლება მიანიჭოს მას.

შემდეგი გაჩერება სამონასტრო ანსამბლი „მონამეთა“ იყო.

ის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მონამეთას მახლობლად მდებარეობს ქუთაისიდან 6 კმ დაშორებით, მდინარე წყალწითელას აღმოსავლეთ ხეობაში. მონასტერი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. გალავნით შემორტყმული მონასტერი კლდოვან-ტყიან მთის დავაკებულ ადგილზეა გაშენებული, მონასტრის გარშემო მყოფ ბუნებაზე მოგზაური ალექსეი მურავიოვი ამბობდა: „შეუძლებელია, უკეთესი ადგილის შერჩევა საბერ-მონაზვნო განმარტოებისთვის“. იგი აგებულია წმინდა ძმების დავით და კონსტანტინე მხეიძეების უკვდავსაყოფად. ისინი იყვნენ არგვეთის ერისთავები, რომლებიც VIII საუკუნეში შემოსეულ არაბთა ლაშქარს მცირე რაზმით თავგანწირულად შეებრძოლნენ, დიდი წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად,ვერ შეაჩერეს ურიცხვი მტერი და დამარცხდნენ. არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ, შეპყრობილ ერისთავებს ქრისტეს რწმენის უარყოფა მოსთხოვა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. განრისხებულმა მურვანმა დიდი ტანჯვა მიაყენა ძმებს, მაგრამ მათ საშინელი წამება ვაჟკაცურად აიტანეს და მონამეთა გვირგვინით შეიმოსნენ. დავითისა და კონსტანტინეს ნეშტი ამ ეკლესიაში ინახება.

მონამეთას ეკლესიის აშენების საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ერთნი ფიქრობენ, რომ ეკლესია აშენდა XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის მიერ, მეორენი კი ბაგრატ V დიდის დროს მიაწერენ. ეს დაბნეულობა გამოწვეულია იმით, რომ მარტვილობის ტექსტში მითითებულია მეფე ბაგრატი, მაგრამ რომელი ზუსტად არ არის განმარტებული.

მონასტერში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული მოწამეთობა.

ჩვენი სტუმრობისას შაბათი დღე იყო და სამი წყვილი, მშვენიერი ნეფე-პატარძალი ჯვრისწერას ელოდებოდა. სავსე იყო ეზო მიდამო გამოპრანჭული მაყრიონით და იდგა ერთი სიცილ-კისკისი და ჟრიამული. მონასტრის მყუდრო კედლებში, ფერგადასული ფრესკების ფონზე ისმოდა საგალობელი და ჯვრისწერის ლამაზი რიტუალი მიმდინარეობდა. უფალო, გვიმრავლე ქართველი ერი, გადაგვარჩინე!

მოწამეთადან იქვე, სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრში დიდებული გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი გველოდებოდა.

გელათის მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი, აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელას ხეობაში. დაარსებულია 1106 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით. შემოზღუდულია გალავნით. ანსამბლში შედის სხვადასხვა დროინდელი (ძირითადად XII-XIII სს.) შენობები. შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში. 2010-2017 წლებში ძეგლი იმყოფებოდა საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში, 1994 წელს, ბაგრატის ტაძართან ერთად, მიიღო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. 2010 წელს ბაგრატის ტაძარს მასზე დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო მიენიჭა საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის სტატუსი, რაც ასევე შეეხო გელათის მონასტერს. 2013 წელს საქართველომ ხელახლა წარადგინა გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისაღებად, ამჯერად ბაგრატის ტაძრისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გელათში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ამ დღეებში მოინახულა.

გელათის ანსამბლში შედის აგრეთვე აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გეგმით სწორკუთხა შენობას (ფართობი დაახლოებით 300 მ²) აღმოსავლეთით სამი შესასვლელი ჰქონია. მოგვიანებით შუა შესასლელისათვის მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. კედლების გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო გაყოლებული. შენობას დიდი სარკმლები ანათებდა, კედლები მოხატული ჰქონდა.

სამხრეთის კარიბჭეში დაკრძალულია ქართველთა საამაყო მეფე დავით აღმაშენებელი. სწორედ ამ ფაქტზე თქვა პოეტმა ანა კალანდაძემ: – „ფეხი დამადგიდ, გულზედ დამადგიდ ფეხი ყოველმან“...

ექსკურსიის ბოლო ობიექტი ბაგრატის ტაძარი იყო. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ბაგრატის ტაძარი აგებულია 1003 წელს, ბაგრატ III-ის (975-1014). იგი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირთან აღმართულ კლდოვან ბორცვზე, რომელსაც უქიმერიონს უწოდებენ.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც 2003 წლიდან მოყოლებული ხუთი წლის განმავლობაში აწარმოებდა აქრეოლოგიურ გათხრებს საკუთრივ ტაძრის ინტერიერ-ექსტერიერში, ადამიანის ზემოქმედების კვალი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანიდან აღმოაჩინა. გაირკვა, რომ დღევანდელი ბაგრატის ტაძარი რამდენიმე ნაგებობაზეა დაშენებული, უძველესი შენობა, სავარაუდოდ, წინარეანტიკული ხანით თარიღდება, თუმცა, ყველაზე საინტერესო VI საუკუნის უზარმაზარი ბაზილიკის ნაშთია, რომლის სიგრძე 30 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 25 მეტრს, სავარაუდოდ, ის სპარსელებმა დაანგრიეს. აქვე აღმოჩნდა VII-VIII საუკუნის ახალი ტაძარი ე.წ. „ქუთათისის საყდარი“, რომელიც სავარაუდოდ წყაროებში ნახსენები ის ტაძარი უნდა იყოს, სადაც ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი იყო დაკრძალული. ბაგრატის ტაძრის ზოგი კედელი სწორედ ძველ ნაგებობებზეა დაშენებული.

ტაძრის აგებიდან ცოტა ხანში, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში დასავლეთიდან მიაშენეს სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, სამივე სართულში თითო ოთახით, ბუხრებით და თახჩებით. სავარუდოდ ამ

(გაგრძელება გვ.8)

ანგელა მერკელის ვიზიტი რუსეთის აჩრდილის ფონგე

(მეექვსე გვერდიდან)

საინტერესოა, რომ საქართველოს მიმართ ბერლინის სკეპტიციზმი გერმანული პრესის მასალებშიც გამოსჭვივის. მაგალითად, პოპულარული და გავლენიანი გაზეთი "ზიუდდოიჩე ცაიტუნგი" წერს: "ერთი მხრივ, საქართველო მტკიცედ ისწრაფვის ევროინტეგრაციისაკენ, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ანგელა მერკელი ამუხრუჭებდა საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას, რუსეთთან მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო: 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სურვილს - დაწყებულიყო საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღების პროცესი - ანგელა მერკელმა "ცივი წყალი გადაასხა". თუმცა მან მაინც შეიტანა თავისი წვლილი 2008 წლის აგვისტოს ომის შეწყვეტაში - ნიკოლა სარკოზს ვლადიმერ პუტინთან უშუამდგომლა".

აშკარაა, რომ ანგელა მერკელმა ვიზიტის დროს საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს ნაკლები ყურადღება დაუთმო (თუმცა კვლავ გაიმეორა ბუქარესტული "ოდესმე მიღების" თეზისი). სამაგიეროდ, ერთგვარი "კომპენსაციისა" და სოლიდარობის ნიშნად, მან გვირგვინით შეამკო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაღუპული ქართველი მოსამსახურეების საფლავები და მათ ხსოვნას პატივი მიაგო.

გერმანული პრესისა და ზოგიერთი ოპონენტის სკეპტიკური პროგნოზის საპირწონედ უნდა ითქვას, რომ ანგელა მერკელმა საოკუპაციო ხაზთან ვიზიტის შემდეგ პირველად იხმარა სიტყვა „ოკუპაცია".„კი, კი, ეს ოკუპირებული ტერიტორიებია... ცხადია... არ მეშინია, ვთქვა, რომ ეს არის (საქართველოს) 20 პროცენტის ოკუპაცია... მაგრამ, ამავე დროს, ეს დიდი უსამართლობაც არის" ...ოპონენტები ამჯერადაც იტყვიან, რომ ეს „ძალით ნათქვამი ფრაზა" იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ითქვა...

მოკლედ, აშკარაა, რომ ბერლინ-თბილისის ურთიერთობაში რაიმე მნიშვნელოვანი გარღვევა არ მოხდება: გერმანიის პოზიცია ჩვენთვის "მთავარი სანუკვარი მიზნის" მისაღწევ გზაზე კვლავ ბარიერად დარჩება. რას ვიზამთ, ასეთია გერმანიის "რეალ-პოლიტიკა" და ევროპული პოლიტიკის კონიუნქტურა, ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ გვსურს, ყველას თავისი ინტერესები აქვს. ბერლინის აზრით, საქართველოსთვის ამჟამად აუცილებელია არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოს და მკვეთრი ნაბიჯები არ გადადგას, რაზედაც გერმანია, ამბობენ, მიხეილ სააკაშვილსაც აფრთხილებდა, მაგრამ მან არ შეისმინა. რაც შეეხება ორმხრივი ურთიერთობის სხვა საკითხებს, ბერლინი, ალბათ, თბილისთან ნაყოფიერ თანამშრომლობას ძველებურად გააგრძელებს და გააღრმავებს კიდეც, ვთქვათ, ტურიზმის სფეროში - ფაქტია, რომ გერმანულ პრესაში საქართველოს პოპულარიზაცია აქტიურად მიმდინარეობს. შეძლებული გერმანელი ტურისტების ნაკადის ზრდა კი ჩვენთვის დამატებითი შემოსავლების წყაროა. ამ ეტაპზე ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

პირველი ვიზიტი სომხეთის ახალ პრემიერთან

ანგელა მერკელის ჩასვლას სომხეთში, ამასწინანდელი "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის, ახალი პრემიერი ნიკოლ ფაშინიანი ანგელა მერკელს ჯერ კიდევ ბრიუსელში შეხვდა, ივლისში, სხვა ევროპელ ლიდერებთან ერთად. როგორც რუსული "ნეზავისიმაია გაზეტა" წერს, იმ დროს სომხეთის პრემიერმა ევროპელი ლიდერები, მათ შორის ანგელა მერკელიც საკმაოდ მკვეთრი გამონათქვამით გააკვირვა, როცა განაცხადა - სანამ სომხეთზე რამეს იტყვით, დაფიქრდითო, ანუ თქვენი მოთხოვნა-პრეტენზიები იმ დახმარების შესაბამისი უნდა იყოს, რასაც სომხეთს უწევთო.

მოგვიანებით ნიკოლ ფაშინიანმა განმარტა, რომ იგი ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა, დემოკრატიის ერთგულია, მაგრამ ევროპელთა წინაშე მთხოვნელ-მხვეწნელის როლში არ დადგება. ალბათ, ანგელა მერკელი 24 აგვისტოს, ერევანში ყოფნის დროს, ამ ფონს გაითვალისწინებს. სხვათა შორის, ანგელა მერკელის სომხეთში ვიზიტს თურქებიც ყურადღებით აკვირდებიან (ანკარა-ბერლინის გაუარესებული ურთიერთობის ფონზე): გაზეთი Hurriyet-ი ირონიით აღნიშნავს: "ერევანში ანგელა მერკელი ციცერნაკაბერდის მემორიალს ეწვევა და მას გვირგვინებით შეამკობს. საინტერესოა, წარმოსთქვამს თუ არა სიტყვა "გენოციდს" გერმანიის კანცლერი?".

აზერბაიჯანი – გერმანიის სტრატეგიული პარტნიორი

ბაქოში ანგელა მერკელის ვიზიტის კომენტირებისას, ექსპერტები ამბობენ, რომ გერმანიის კანცლერის ჩასვლა აზერბაიჯანში უპირველესად ენერგეტიკას უკავშირდება: "რუსული გაზსადენი "ჩრდილოეთი ნაკადი-2" ევროპის ეკონომიკურ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ გერმანიას ალტერნატიული მიმწოდებელი - ანუ აზერბაიჯანის ენერგოშემცველებიც ჭირდება. ყველა შემთხვევაში, ანგელა მერკელის ვიზიტი ბაქოში, 25 აგვისტოს, მთელი რეგიონისთვის იმის მანიშნებელი იქნება, რომ სამხრეთ კავკასიაში გერმანიისთვის სწორედ აზერბაიჯანი ითვლება სტრატეგიული როლის შემსრულებელ პარტნიორად", - ამბობს რუსულ "ნეზავისიმაია გაზეტასთან" საუბარში დიონის ჩენუშა, ევროკავშირის პოლიტიკის ექსპერტი, რომლის ვარაუდით, გერმანიის კანცლერი აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრისას, ალბათ, მთიანი ყარაბაღის საკითხსაც შეეხება, მაგრამ ბაქოს ამ მხრივ დიდი იმედები არ უნდა ჰქონდეს. "საერთოდ კი, იმ დროს, როცა თურქეთი რუსეთს უახლოვდება, ირანი კი ამერიკას ეჯახება, გერმანიისთვის აზერბაიჯანთან დიალოგის გააქტიურება მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს", - ასკვნის ექსპერტი.

რა შეაჩერებს რუსეთისგან მომავალ საფრთხეს?

თუკი პუტინის პრესმდივნის, დმიტრი პესკოვის სიტყვებს ვირწმუნებთ, 19 აგვისტოს შეხვედრაზე პუტინმა და მერკელმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის გარშემოც ილაპარაკეს და ბალტიის ზღვის გავლით რუსეთიდან გერმანიისკენ გაზის გადაზიდვის გეგმას წმინდა „ეკონომიკური" უწოდეს. თუმცა ევროკავშირის არაერთი ქვეყნისა და აშშ-ისთვის ნათელია, რომ ახალ გაზსადენთან დაკავშირებული გეგმა ეკონომიკურ ჩარჩოებს სცილდება, რადგან რუსეთი, როგორც წესი, ენერგეტიკულ ბერკეტებს პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად იყენებს. გერმანია მწვავედ გააკრიტიკა პრეზიდენტმა ტრამპმა ივლისში ნატოს ბრიუსელის სამიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე.შეერთებულ შტატებში ფიქრობენ, რომ რუსულ გაზზე დასავლეთ ევროპის დამოკიდებულების შემცირება ერთადერთი საშუალებაა რუსეთისგან მომდინარე გამოწვევებზე საპასუხოდ. პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთიდან გერმანიაში გაზის ტრანსპორტირებისთვის მშენებარე მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის საპირწონედ მიიჩნევს ტრანსადრიატიკის გაზსადენს, რომელიც ევროპას რუსეთის გვერდის ავლით მიაწოდებს აზერბაიჯანის გაზს, საშუალებას მისცემს „სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტში ჩართულ ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოსაც) არა მარტო ეკონომიკურად იხეირონ, არამედ უსაფრთხოებაც განიმტკიცონ. ილაპარაკებს თუ არა ამ საკითხზე ანგელა მერკელი ბაქოში, ეს შაბათს გამოჩნდება.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

მონატრება

მარინა გოგილაშვილი

ჩვენო დიდო ტკივილო, მარინა, 31 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. 56 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო კეთილო და მუდამ ღიმილიანო... ვერავინ წარმოვიდგენდით, თუ ასე ახალგაზრდა წახვიდოდი ამქვეყნიდან, მაგრამ...

9 წელიწადი იბრძოდი სიცოცხლისათვის, 9 გრძელი წელიწადი, შენს გადასარჩენად არაფერი დაიშურეს არც ძმამ და არც შენმა შვილებმა, მაგრამ ვერ დაამარცხეს, ვერ აჯობეს ავადმყოფობას...

40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვენატრები. გიყურებდით უიმედო ავადმყოფს, მაგრამ მცირეოდენი იმედი მაინც ღვიოდა შენი ახლობლების გულებში, ახლა კი ეს იმედიც მოკვდა...

ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩვენო კეთილო მარინა.

შენი ახლობლები

მარინა გოგილაშვილი

40 დღე გავიდა, რაც ეს ქვეყანა დატოვე, მაგრამ თითქმის ცხრა წელია ,თვალით არ მინახიხარ, ჩემო მარინა, საყვარელო ადამიანო, ჩემი შვილის ბიცოლა და პირველო მასწავლებელო. პირველ სკოლაში პირველი ნაკადი რომ აიყვანე, მაშინ შემოვიყვანე სალომე პირველ კლასში და ჩვენ ყველამ ერთად, ოთხი ბედნიერი წელი გავატარეთ. განუზომელია შენს მიერ ჩადენილი სიკეთეები, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თითოეულ მოსწავლეს და მშობელს ახსოვს, ძალიან დიდი იშვიათობაა დღეს შენნაირი ჰუმანური ადამიანები, თუმცა, ბედისწერამ ზუსტად შენი თავი წაგვართვა ყველას... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე აქედან გაგიხსენებდი... შენ იყავი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი და ოჯახის გულშემატკივარი, მე კი ვერ შევძელი შენი ნახვა განსაცდელის ჟამს...ამიტომ, ყოველთვის იქნები ჩემს მეხსიერებაში ისეთი, როგორზეც გავჩერდით 9 წლის წინ...ავადმყოფობამდე რამოდენიმე დღით ადრე რომ ვისაუბრეთ ტელეფონით და თბილისში, შენს სახლში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. როგორ გიხაროდა ყველაფერი, მეუბნებოდი, ამდენ ემოციას ველარ ვიტევო, მინდოდა შენი სიხარულის თანამონაწილე ვყოფილიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ არ დაგვცალდა, მეგობარო, საწოლზე მიჯაჭვულმა გაატარე წლები და შენს ახლობლებს დაგვიტოვე კითხვა – რატომ?! ძალიან დიდი სიცარიელე დარჩა შენს ადგილზე, ჩემო მარინა, დიდი ჭრილობა, შენს ულამაზეს, ნიჭიერ და კარგად აღზრდილ შვილებს ვეფერები ფბ-ს საშუალებით და ვფიქრობ, რა იქნებოდა, დღეს შენც მათ გვერდით ყოფილიყავი, გეხარა და გეამაყა მათი ცხოვრებით!

მადლობას გიხდი იმ თითოეული წუთისა და საათისთვის, რომელიც შენთან ერთად გამიტარებია, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, ყველა დაუთვლელი სიკეთისთვის, რაც შენ შეგეძლო ადამიანებისთვის გაგეწია, იმ პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, რაც ჩემი შვილისთვის გააკეთე მისი პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

შენი სახით ჩვენს ქალაქს დააკლდა დიდი ადამიანი, რომელიც დადიოდა სიკეთის ნაბიჯებით და ირგვლივ მხოლოდ სიყვარულს , პატივისცემას და მხარდაჭერას გასცემდა!

დიდი სიყვარულით და მონატრებით
ელზა ხარაშვილი

ხსოვნა

გივი კაისაძე

დაბადების დღეს გილოცავთ, გივი! ჩვენო უსაზღვრო სიყვარულო და ტკივილო! ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ შენს ოჯახს. 23 აგვისტო უშენოდ უფერულია, ისე, როგორც ყოველი დღე, ყველგან შენ დაგეძებთ, ჩვენო თბილო და კეთილშობილო ადამიანო, ჩვენო ჭკვიანო და განათლებულო. წლების მანძილზე „შირაქი" შენი სამაგიდო გაზეთი იყო. არც ერთი ნომერი არ ჩაგიგდია, სამშობლოსა და შენი ხალხის უზომოდ მოყვარულს, ხშირად თვალები ცრემლებით გევსებოდა, შენი კეთილი გული ყველას გაჭირვებას იტევდა და ყველას დახმარებას ცდილობდი.

გივი, რამდენი სიკეთე გაქვს გაკეთებული. სიტყვები უძლურია მათ ჩამოსათვლელად...თუმცა, ისედაც უხმაუროდ გიყვარდა სიკეთის თესვა.წინაპართა საფლავების ერთგულ მოდარაჯეს, წელს აღარ დაგცალდა, „ბრწყინვალე შვიდეულში" შენს საყვარელ დღესასწაულზე – სამებობას გაგვიფრინდი ზეციურ საქართველოში.

წმინდა სანთლებით ვევედრებით უფალს, დაგიმკვიდროს ღირსეული ადგილი სასუფეველში. სიტყვა ვერ იტევს სათქმელს... სამუდამოდ ჩვენთან ხარ და იქნები, გივი, შენი ცოლ-შვილის ცრემლიან თვალებსა და გულებში, შენი ახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში, გასაოცარი ადამიანო!

შენი ოჯახი

გივი იაკობიშვილი

26 აგვისტოს 20 წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, გივი. ჩვენო ტკბილო მამავ და მეუღლევ, ძალიან გვიჭირს უშენობა. დრო ტკივილს აფერმკრთალებსო, უთქვამთ, არ ყოფილა მართალი ეს ფრაზა. უბრალოდ, შევეჩვიეთ იმ რეალობას, რომ შენ ცოცხალი აღარ ხარ. დღემდე მოგტირის მთელი სოფელი. შენ კარგი კაცის სახელი დატოვე, რითიც სულ იამაყებენ შენი შთამომავლები- 3 შვილი, 8 შვილიშვილი და შვილთაშვილები... ცოტა ხანში მეათე შვილთაშვილი გეყოლება, გივი, ველარ მოესწარი ამდენ სიხარულს, არადა, როგორ ოცნებობდი ამაზე...

მე და შენი შვილები შენი საფლავის ხშირი სტუმრები ვართ. 26 აგვისტოსაც მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს და უფალს შევევედრებით, სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს.

შენი მეუღლე
გულო იაკობიშვილი

„ჩემი სამშობლო, ეგრე ლამაზი“...

(მეექვსე გვერდიდან)

კოშკში ქუთათელი ეპისკოპოსი ცხოვრობდა. ცალკეული სამუშაოები ტაძარზე 1008 წლამდე გაგრძელდა. 1020-იან წლებში კი ტაძარს მიაშენეს დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეები.

ბაგრატის ტაძარს, როგორც ჩანს, მტრის მახვილი მალევე შეეხო. გიორგი მეორეს დროს თურქები საქართველოს შემოსევიან. XI საუკუნეში თურქთაგან გადამწვარი და აოხრებული ქუთათისის განახლება დავით აღმაშენებლის დროს მოხდა. სავარაუდოდ, აღორძინება ბაგრატის ტაძარსაც შეეხო.

ბაგრატის ტაძრის როლი, რა თქმა უნდა, არც მომდევნო საუკუნეებში დაკნინებულა, ქუთათელ მეფეთა კურთხევისას მას მნიშვნელოვანი როლი და გვირგვინის დადგმის პატივი ჰქონია.

ბევრი ნგრევა გადაიტანა საუკუნეების მანძილზე ხან თურქებისგან, ხან ოსმალებისგან, ხან რუსებისგან, მაგრამ აღდგენა და გაბრწყინებაც ბევრჯერ ერგო წილად. XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები. ის შეიტანეს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში, მაგრამ რეაბილიტაციის პროექტში შეტანილმა არაორდინალურმა ცვლილებამ მასში ლიფტის დამონტაჟების გამო, საფრთხის წინაშე დააყენა მისი დაფინანსება. მართლაც რომ, თვალს უსიამოვნოდ სჭრის და არავითარ არქეოლოგიურ გემოვნებაში არ ჯდება ის შეუსაბამობა, რასაც ეს ლიფტი იწვევს მნახველში. ამჟამად სარესტავრაციო სამუშაოები შეჩერებულია. გულსატკენია, რომ ერთი ადამიანის ახირების გამო, ასეთი საფრთხე შეექმნა ტაძარს. იმედია, საბოლოოდ დადებითად გადაწყდება დაფინანსების აღდგენის საკითხი.

ჩვენი ორდღიანი მოგზაურობა სამეგრელოსა და იმერეთში დასრულდა. გვიან ღამით დავბრუნდით სახლში შთაბეჭდილებებით აღვსილნი. დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ კულტურისა და ძეგლთა დაცვის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს ნელი გობეჯიშვილს, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა და ფინანსური დახმარება გაგვიწია ამ ექსკურსიის მოწყობაში. გული დაგვწყდა, რომ ქალბატონმა ნელიმ ვერ მოახერხა ჩვენთან ერთად წამოსვლა. მადლობა მძღოლს გოჩა ყოჩიაშვილს, რომელმაც უსაფრთხოდ გვამგზავრა და შინ მშვიდობით დაგვაბრუნა. ამ დღეებმა უფრო მეტი სურვილი გაგვიჩინა, მოვიაროთ ჩვენი ქვეყნის ულამაზესი სანახები.

ნაირა გორაშვილი

ულოცავენ!

თამარ ჯავაშვილს, გივი ფიროსმანაშვილს!

გილოცავთ შვილიშვილის – დავითის დაბადებას. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ პატარას ბედნიერი იყოს თავის დაიკო მარიამთან ერთად. მათი მშობლები – ნათია ფიროსმანაშვილი და ჯიმი კაკალაშვილი გახარებული იყვნენ მათი წარმატებებით. თქვენ კი, უკვე ექვსგზის პაპა-ბებიას, მხნეობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, რათა დატკვეთ თქვენი დიდი ოჯახის სიხარულით. უფალი გფარავდეთ და გეწეოდეთ.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ყურადღება!

შპს „კონსალტინგი“ გთავაზობთ საბუღალტრო და აუდიტორულ მომსახურეობას. ყველა სამართლებრივი ფორმის ფიზიკური და იურიდიული პირის სუბიექტებს.
საბუღალტრო მომსახურეობას გაგიწევთ საბუღალტრო პროგრამა „ორისში“.
მსურველებთან გავრცელდება შეღავათი, კერძოდ პირველ სამ სუბიექტს - (მსურველს) მოვემსახურებით 1 თვე უფასოდ და შემდგომ სამს კი – 50%-იანი ფასდაკლებით.
☎ 595 30 07 71; 599 98 80 17.

„ალმა-მატერის“ პროფესორი მოამზადებს აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, წერეთლის №5.
☎ 591 050 865; 574 207 230.

გვესაჭიროება მომვლელი ეტლში მჯდომი, ხანდაზმული ქალისთვის. დასვენება კვირაში ერთი დღე. ანაზღაურება 200 ლარი.
☎ 593 17 05 70.

იყიდება ან იცვლება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იცვლება კერძო სახლზე.
მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა.
☎ 555 23 26 80 ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.

ყურადღება!

იყიდება 1 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა პირველ ბალკაზე.
მსურველები დაგვიკავშირდით:
☎ 557 500 805

ყურადღება!

იყიდება ან ქირავდება აწყობილი ბიზნესი კაფე-რესტორანი „დავითი“ დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №13. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ ნომერზე:
☎ 577-34-55-39

ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა №9-ში („დომ ბიტამდე“), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკებაც). მსურველები დაგვიკავშირდით:
☎ 599 85 58 32

ვ ა კ ა ნ ს ი ა

გაზეთი „შირაქი“ იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com , *ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში.*

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 27.08		სამშაბათი 28.08		ოთხშაბათი 29.08		ხუთშაბათი 30.08		პარასკევი 31.08		შაბათი 01.09		კვირა 02.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
24 °	18 °	25 °	19 °	25 °	20 °	27 °	21 °	27 °	22 °	26 °	22 °	24 °	24 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჭანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.